"დამტკიცებულია"
საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის
რექტორის, ტმდ, პროფესორი
_____ ნ. ტეფნაძე
19 _____ 06 _____ 2020
დადგენილება № _____

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
გამოცდების ჩატარების წესი

ძირითადი ასლი

1 სარჩევი

1 სარჩევი 2

i. ცვლილებები 3

ii. ცვლილებების ისტორია 4

iii. მოქმედი გვერდების სია 5

2 დოკუმენტაციის კონტროლი 6

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია 6

3 ძირითადი ნაწილი 7

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 7

მუხლი 2. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესები 8

მუხლი 3. გამოცდის დამკვირვებელთა უფლება-მოვალეობები 9

მუხლი 4. გასაჩივრება 9

i. ცვლილებები

ცვლილების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და რექტორის მონაწილეობით. შეცვლილი წესი დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს. დაუშვებელია ცვლილების განხორციელება ზემოაღნიშნული პროცედურის დარღვევით.

შედგენილია:	დამტკიცებულია:
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	რექტორი
თარიღი:	თარიღი:

ამოღებული გვერდი				**დამატებული გვერდი**			
თავი	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**	**თავი**	**გვერდი**	**ცვლილება**	**თარიღი**

ii. ცვლილებების ისტორია

ცვლილების №	ცვლილების საფუძველი	შეცვლილი გვერდები	თარიღი	ცვლილების ინიციატორი

iii. მოქმედი გვერდების სია

თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი		თავი	გვერდი	ცვლილება	თარიღი
0	1	0	ივნისი 2020					
1	2	0	ივნისი 2020					
i	3	0	ივნისი 2020					
ii	4	0	ივნისი 2020					
iii	5	0	ივნისი 2020					
2	6	0	ივნისი 2020					
3	7	0	ივნისი 2020					
3	8	0	ივნისი 2020					
3	9	0	ივნისი 2020					
3	9	0	ივნისი 2020					

2 დოკუმენტაციის კონტროლი

დოკუმენტაციის კონტროლი ხორციელდება ხარისხის სახელმძღვანელოში გაწერილი წესებისა და პროცედურების მიხედვით. ამ წესებისა და პროცედურების მიზანია შეიქმნას სისტემა, რომელიც თანამშრომლებს მისცემს დოკუმენტების ადვილად ამოცნობისა და გამოყენების საშუალებას ორგანიზაციაში. ყველა კონტროლირებადი დოკუმენტი უნდა შეიქმნას და შეინახოს იმ ფორმატითა და წესებით, რომელიც გაწერილია ხარისხის სახელმძღვანელოში. ეს შექმნის პროცედურების სისტემას, რომელშიც დოკუმენტების შექმნა, განახლება და გავრცელება მოხდება ადვილად.

2.1 დოკუმენტების დასაგზავნი სია

ორგანიზაცია	ფორმატი	ასლის ნომერი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ბეჭდური	ძირითადი ასლი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია
უნივერსიტეტის ვებ-გვერდი	ელექტრონული	ელექტრონული ვერსია

3 ძირითადი ნაწილი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში წერითი (შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების) ორგანიზაციულად ჩატარებას უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური.
2. სამსახური ვალდებულია გამოაქვეყნოს შუალედური და დასკვნითი გამოცდების განრიგი საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა, ხოლო დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.
3. ფაკულტეტი ვალდებულია სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურში საგამოცდო საკითხები წარმოადგინოს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს სამი კვირისა. სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურში წარმოდგენილი საკითხები, სრულად უნდა მოიცავდეს და შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრულ თემატიკას. ბილეთის ფორმას, მასში საკითხების ოდენობას და შეფასების კრიტერიუმებს განსაზღვრავს პედაგოგი სილაბუსის შესაბამისად.
4. სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური ვალდებულია გამოცდის ჩატარებიდან მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში მიაწოდოს საგამოცდო ნაშრომები შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულს. საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს საგამოცდო ნაშრომების აკადემიური/მოწვეული პერსონალისათვის მიწოდება იმავე დღეს. აკადემიური/მოწვეული პერსონალი ვალდებულია შეაფასოს ნაშრომები მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში და წარადგინოს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში. სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს საგამოცდო შედეგების ასახვა სტუდენტთა მოსწრების ელექტრონულ ბაზაში აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ნაშრომების ფაკულტეტზე ჩაბარებიდან არანაკლებ 2 სამუშაო დღის განმავლობაში.
5. სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გამოქვეყნებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს და მოითხოვოს ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადასინჯვა.
6. გამოცდის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 2 საათი.
7. გამოცდების მსვლელობას საგამოცდო ცენტრში ზედამხედველობას უწევს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული დამკვირვებელთა ჯგუფი.

მუხლი 2. გამოცდის მსვლელობისას სტუდენტთა ქცევის წესები

1. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო განრიგის მიხედვით, გამოცხადდეს გამოცდის ჩატარების ადგილზე. დაგვიანების შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.
2. სტუდენტი ვალდებულია, იქონიოს სტუდენტის ბილეთი ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება.
3. სტუდენტი ვალდებულია საგამოცდო ცენტრში შესვლისას, სპეციალურად გამოყოფილ ადგილას დატოვოს საკუთარი ნივთები (ჩანთა, კონსპექტი, წიგნი და სხვა) რომელთა გამოყენებაც გამოცდის მსვლელობისას არ არის ნებადართული.
4. აკრძალულია გამოცდაზე ნებისმიერი ნივთის შეტანა, საწერი კალმის, კალკულატორისა და სასმელი წყლის გარდა.
5. სტუდენტები საგამოცდო ცენტრში ნაწილდებიან დამკვირვებლის მიერ მითითებულ ადგილზე. მაგიდაზე არ უნდა იდოს არც ერთი ნივთი გარდა სტუდენტის ბილეთის/პირადობის მოწმობის, საწერი კალმის, კალკულატორისა და სასმელი წყლისა.
6. იკრძალება სამუშაო მაგიდასთან ნებისმიერი სახის მატარებელზე (ქაღალდი, ელ. ჩამწერი და სხვა) დაწერილი ან ჩაწერილი ინფორმაციის სამუშაო მაგიდასთან მიტანა. აღნიშნული დარღვევა ჩაითვლება გადაწერის მცდელობად, სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და დაუფიქსირდება შეფასება ნული.
7. იკრძალება გამოცდის მსვლელობის დროს სტუდენტებს შორის ნებისმიერი სახით ინფორმაციის გაცვლა, რაც ჩაითვლება გადაწერის (კარნახის) მცდელობად. სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და დაუფიქსირდება შეფასება ნული.
8. სტუდენტი ვალდებულია, შეამოწმოს მისი საგამოცდო ფურცლის ხარვეზიანობა, დაზიანების არსებობის შემთხვევაში უნდა მიმართოს დამკვირვებელს.
9. საგამოცდო ფურცელზე შესაბამის ადგილას სტუდენტმა უნდა დაწეროს სახელი, გვარი, ფაკულტეტი, ჯგუფის ნომერი, საგნის დასახელება და ლექტორის სახელი და გვარი.
10. სტუდენტს ეკრძალება საგამოცდო ფურცელზე მაიდენტიფიცირებელი ნიშნის (სახელი, გვარი, ნომერი, მისამართი და სხვა) ან რაიმე სახის ისეთი გრაფიკული გამოსახულების (ფიგურა, წარწერა და ა.შ.) დატანა, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან. საგამოცდო ფურცელზე რაიმე სახის მინიშნების აღმოჩენის შემთხვევაში ნაწერი არ გასწორდება.
11. სტუდენტს ეძლევა საგამოცდო ცენტრიდან საჭიროებისამებრ ან სხვა ობიექტიური მიზეზით (მაგ. სტუდენტის შეუძლოდ გახდომა) ერთხელ გასვლის უფლება.
12. სტუდენტი ვალდებულია დაემორჩილოს დამკვირვებლის გადაწყვეტილებას, მათ შორის გამოცდიდან მოხსნის თაობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ქმედება განიხილება საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსის უხეშ დარღვევად, რაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია.
13. სამუშაოს დასრულების შემდეგ სტუდენტმა დამკვირვებელს უნდა წარუდგინოს სტუდენტის ბილეთი და ჩააბაროს საგამოცდო ნაშრომი.

მუხლი 3. გამოცდის დამკვირვებელთა უფლება-მოვალეობები

1. დამკვირვებელი ვალდებულია, გამოცდის ჩატარების ადგილას გამოცხადდეს გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ 10 წუთით დრე.
2. გამოცდის ჩატარებაზე პასუხისმგებელმა პირმა უნდა საგამოცდო ბილეთების დასრულების შემდგომ უნდა გამოაცხადოს გამოცდის დაწყების დრო.
3. დამკვირვებელი არიგებს საგამოცდო ფურცლებს და ვალდებულია, დააკვირდეს გამოცდის მიმდინარეობას. მკაცრად აკონტროლოს სტუდენტების გამოცდაზე მოქცევის წესები, მათი დარღვევის შემთხვევაში, ასევე საგამოცდო საგნით განსაზღვრული თემატიკის მატარებელი ინფორმაციის შემცველი ნივთით სარგებლობის შემთხვევაში მოხსნას იგი გამოცდიდან.
4. სტუდენტის გამოცდიდან მოხსნის შემთხვევაში, დამკვირვებელი ჩამოართმევს სტუდენტს საგამოცდო ფურცლებს. საგამოცდო ფურცელზე აკეთებს წარწერას - ,,მოხსნილია გამოცდიდან" მიზეზის მითითებით და აწერს ხელს.
5. დამკვირვებელი ვალდებულია, გასცეს პასუხი სტუდენტის მიერ დასმულ პროცედურულ და ტექნიკურ შეკითხვებს.
6. გამოცდის მიმდინარეობის პროცესში რაიმე კითხვის ან პრობლემის არსებობის შემთხვევაში დამკვირვებელი ვალდებულია, მიმართოს პასუხისმგებელ პირს.
7. გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე აცნობონ სტუდენტებს დარჩენილი საგამოცდო დროის შესახებ, რათა დროულად დაასრულონ წერითი სამუშაო.

მუხლი 4. გასაჩივრება

1. შეფასებების გამოქვეყნების შემდგომ, ნიშნის გამოქვეყნებიდან 10 დღის განმავლობაში, სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს და გაეცნოს საკუთარ ნაშრომს. ამისათვის იგი მიმართავს შესაბამის ფაკულტეტს ან სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს (სადაც მოცემული მომენტისათვის ინახება ნაშრომი);
2. საგამოცდო ნამუშევარში დაფიქსირებული შეფასების გაპროტესტების შემთხვევაში სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს და მოითხოვოს საგამოცდო ნამუშევრის გადახედვა შეფასების რედაქტირების მიზნით. ამისათვის სტუდენტი განცხადებით მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო მობილურის ნომერი და სასწავლო კურსის ზუსტი დასახელება;
3. ფაკულტეტი პროტესტის განხილვის მიზნით, 5 დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას საგნის წამყვან პროფესორთან ერთად;
4. პროტესტის დაკმაყოფილებისა და შეფასების გადახედვის შემთხვევაში სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი, საგამოცდო ნაშრომის ორიგინალზე არედაქტირებს ქულას და ამოწმებს საკუთარი ხელმოწერით, რის შემდგომაც ფაკულტეტის ცნობის საფუძველზე სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახური არედაქტირებს ქულას ელექტრონულ ბაზაში; პროტესტის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, თუ სტუდენტი ეთანხმება ამ შედეგს, იგი წერილობით აფიქსირებს საკუთარ თანხმობას ნაშრომის განხილვისა და პროტესტის მიუღებლობის შესახებ, რომელიც ინახება სტუდენტის მიერ ნაშრომის გაპროტესტების შესახებ განცხადებასთან ერთად;
5. იმ შემთხვევაში თუ სასწავლო კურსის წამყვანთან ერთად განხილვის შემდგომ სტუდენტის პროტესტი არ დაკმაყოფილდა და სტუდენტს კვლავ აქვს პრეტენზია შეფასებასთან დაკავშირებით, დეკანი უფლებამოსილია სტუდენტის ინტერესის დასაცავად დანიშნოს

კომისიური წესით განხილვა. ამისათვის იგი მოხსენებითი ბარათით მიმართავს სასწავლო დარგში რექტორის მოადგილეს და ითხოვს სამართლებრივი აქტით კომისიის დამტკიცებას. კომისიაში უნდა შედიოდეს შესაბამის სასწავლო კურსში კომპეტენციის მქონე მინიმუმ ორი წევრი და ფაკულტეტის დეკანი.

6. კომისია სტუდენტის მონაწილეობით განიხილავს სტუდენტის საგამოცდო ნამუშევარს და ღებულობს 2 სახის გადაწყვეტილებას:

6.1. პროტესტის უარყოფისა და შეფასების უცვლელად დატოვების შესახებ;

6.2. პროტესტის მიღებისა და შეფასების რედაქტირების შესახებ; ასეთ შემთხვევაში ოქმში ფიქსირდება რედაქტირებული შეფასება.

7. კომისიის მიერ ამ მუხლის 6.2. პუნქტით გათვალისწინებული რედაქტირებული შეფასება ფაკულტეტის მიერ ეცნობება სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, რომელსაც ელექტრონულ ბაზაში შეაქვს შესაბამისი შესწორება;

8. კომისიის მიერ მე-6 პუნქტით მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება საბოლოოა და სტუდენტის პროტესტი განხილვას აღარ ექვემდებარება.